**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. | — კ. |
| 11 „ | 9 „ | 50 „ |
| 10 „ | 8 „ | 75 „ |
| 9 „ | 8 „ | — „ |
| 8 „ | 7 „ | 25 „ |
| 7 „ | 6 „ | 50 „ |
| 6 „ | 6 „ | — „ |
| 5 „ | 5 „ | 50 „ |
| 4 „ | 4 „ | 75 „ |
| 3 „ | 3 „ | 50 „ |
| 2 „ | 2 „ | 75 „ |
| 1 „ | 1 „ | 50 „ |

# იმერია

№ 172 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 172

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თებერვლის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თებერვლის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „იმერია“

პირველ მკათათვიდამ წლის დამლევამდე ჭიორს . . . . 6 მან.
„ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე . . . . . 5 „ 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჭდირს:

პირველ მკათათვიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . . . . . 2 მან. 75 კაპ.
„ „ „ „ ქალაქ გარედ. . . . 3 „ 50 „
„ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . . . 2 „ 50 „
„ „ „ „ „ ქალაქ გარედ . . 3 „ —

გაზ. „იმერიის“ **ადგილი** (ყოველ-დღე დია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„იმერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.)

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეეფანეშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში:**—ნიკოლაძის „ურნალ-გაზეთების საადგილ-მამლ. ბიბლიოთეკაში.

**საბუნჩიაში:**—პეტრე მაკავარიანთან.

**შორაპანში:**—პაოლენ ნასიძესთან.

**ბანჯაში:**—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

**ზოგში:**—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეორეხარეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი გაზეთისა—ცალკე მორიგებით.

**საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіи“.**



## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნაფაანარდიანისა

(ეუკაში, ეიოროსკოვის ქუჩის **პირდაპირ**) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**ფ. ფ. ჩიდოკანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ბ. ავეტიანიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ სირუარგულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბაქლიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სტეკოგრისა.

**ბ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. ბ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—ხამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ბ. სოლოლოვშვილი.** 9—11 საათამდე ცხელების ავადმყოფობანი.

**ს ა ღ ა მ ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. ბოტოლოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**ბ. ს. ელვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზაბარანინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიოა ავადმყოფობისა.

**ვ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ფ. ავეანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსუბუქელ მასსაჟს», აუცრის ყვავილს გამამრავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. ბაქლიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. ფლ.

## კერძო სამკურნალო

ექიმის **დ. ა. ბედევანიშვილისა**

ეუკაი, ეელიკოკნიატესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. ბუღანი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

**ა. ი. ბალაჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. ბ. ბოსანი.** ქალის., საბებ. და ბავშ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

**დ. ა. ბედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ტყეშელაშვილი.**—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებრო 11—12 ს. სამშ, ხუთშ. შაბათ.

**გრ. ვ. სოგოლევსკი**—ფოსტკარობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით, და შაბათობით 1—2 საათ.

**ა. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

**სამკურნალოშია ჭნდა ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიოლ-სკოპიული გამოკვლევანი.**

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრეოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრეოტით.

46—8 ტელეფონი № 274

(ნ.)



**ქართველნი მკურნალნი:**

**ბედევანიშვილი მიხეილ,**—ეორდანანის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. სადამოს—67 საათამდე.

**ბაქლიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მიდოგოსა. № 5

**ბაბაშვილი ბრიგოლ,**—ეოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაშაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზოს ასული ზალიშვილისა,** მიხეიდის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—მიხეიდის პროსპექტი, სახლი დოდუხანოვისა, № 123.



გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნაბა-დარიული ქართულ ბიბლიოთეკისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში 8-5 დავ. ნახუცრიშვილის (3—3)



ახლა გამოგეგზა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**ზულიფერის ზოგზაურობა**

ზღვიფერისა, მრავალის სურათითა. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

შორეულ აღმოსავლეთის დაფარადებული

## ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «იმერიისა». ფასი სამ შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.



გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

## ბაგბანა

2.

## ალი

მოთხრობა მისიეე, ფასი 10 კაპ.

წიგნების **გამოწერა** შეიძლება ფასადადებითაც შემდეგის ადრესით: **Тифлисъ. Общество распростр. грамотности.**


## ომის ამბები

**დღეიანელი და წერილები.**

პორტ-არტურთან.—იაპონელების ჯარის მოძრაობა.—წერილი ცნობები.

ბოლოს დროს არავითარი სანდო და დასაჯერებელი ცნობები აღარ მოდის პორტ-არტურის შესახებ, არც მეტიხოვნებისაგან, რომელსაც ეტყობა, ამბის მოწოდებაც აღარ შეუძლიანთ, და არც იაპონელებისაგან, რომელებმაც პორტ-არტურს ალყა მეტიროდ შემოარტყეს, ნამდვილად არ ვიცით, სადამდე მიუახლოვდნენ იაპონელები პორტ-არტურს, რომელი ფორტები აიღეს, ვინ იმარჯვებს, რამდენი კვდება და რამდენი რჩება,

დღეშინთ იეუწყებიან (რეიტ. საგ), ვითომც 13 ივლისიდგან საშინელი ბრძოლა ყოფილა პორტ-არტურთან. ეს ცნობა მტკიცებდა იაპონიის მთავრობის მიერ ოფიციალურად გამოცხადებულ დეპეშით, რომ სამის დღის განმავლობაში, 15 ივლისამდე, იაპონელებმა 140-ზე მეტი ოფიცერი დაჰკარგეს. ესეთი დიდი დანაკარგი გვფიქრობენებს, რომ მხოლოდ შორიდგან კი არ ყოფილა ბრძოლა ტყვიაყუმბარებით, არამედ იაპონელების ქვეითს ჯარს ხელდახელ მიუტანია იერიში მას შემდეგ, როდესაც ორის დღის განმავლობაში არტილერიას შეურყევია მკვიდრი ფორტები, რომელნიც პორტ-არტურს გარშემო არტყია განიერ სარტყელსავით ლუიზის ყურედგან ლუნვანტანამდე.

რა შეტეგი ჰქონდა ამ იერეშს,—ჯერ არ ვიცით, ხოლო იაპონიის საელჩოს მიერ ლონდონში გამოქვეყნებული დეპეშა გვფიქრებინებს, რომ იაპონელებისათვის ტყუილად არ ჩაუვლია ესოდენ მსხვერპლს. დეპეშა ამბობს, 17 ივლისიდგან თვით პორტ-არტურის იერიში დაიწყოვო. იერიშის მიტანამდე კი იაპონელებმა შეუთვალეს გენერალ სტესელს, დაგვნებდეო, მაგრამ, როგორც ვიცით, რუსის გენერალმა თამამად და გულის წყრომით უარი შეუთვალა. ეტყობა, იაპონელებს მართლა ეფიანთ წინა ფორტები და თვით ციხესთან მისულან; თორემ უამისოდ შეთვალა-პასუხი, დამნებდი, არ დანებდებიო, სრულიად უადგილი იქმნებოდა სხანს, იაპონელებს მართალი გაუმარჯვნიათ. იმასაც-კი იწერებოდნენ, ვითომც იაპონელებმა ყველა ფორტები, სამაგრეები და მაღლობები დაიპრეს პორტ-არტურს გარშემო, ზოლოტაი გორის გარდა, მაგრამ ეს მართალი არ უნდა იყოს, იმიტომ რომ, თუ პორტ-არტურს დიდნაშენელოვანი ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთის ზღუდეები ჩამოაცალეს, მაშინ თვით პორტ-არტური თავს ვეღარ დაიპერს. (რ. ვ.).

—

წვიმა ავდრის სეზონი, ზაფხულობით რომ იყო მანჯურიაში, წყლს სრულიად არა სჩანს და იაპონელებს არ აბრკოლებს. 10 ივლისიდგან იაპონელები ყველა მხრიდგან წინ მოდიან და შორს არ უნდა იყოს ის დიდი ბრძოლა, რომელიც წლევანდელის ომის ბედ-იღბალს გადასწყვეტს, ე. ი. ერთ-ერთს მხარეს სრულიად დაიუძლურებს, ვიდრე ახალ ძალ-ონეს არ მოიკრებს. იაპონელებმა მხოლოდ მეოთხე ლაშქარი შემოარტყეს არტურს და პირველი სამი ლაშქარი-კი ლიაოიანს მიუმარჯვეს. არ გამორთდება ის აზრი, ვითომც იაპონელები პორტ-არტურისა და ლიაოდენის ნახევარ-კუნძულს დაიპერენ, შეჩერდებიან და გამაგრდებიანო. პირ იქით, იაპონელები დიდს სითამამეს იჩენენ და ეშურებიან-გენერალ კუროპატკინის უმთავრეს ძალას გადამკლავდნენ. გენერლების ოკუსა და ნოძუს ლაშქრები სამხრეთიდგან აწვებიან რუსის ჯარს და ამავე დროს გენერალ კუროკიც თავის ლაშქრით ხან აქეთ წაიწევს, ხან იქით, სადაც უფრო საჭიროა ძისი დახმარება ის რუსის ლაშქრს შეპყურებს და იმის მოძრაობის თანხმად მოქმედობს. იმ დროს, როდესაც რუსის ჯარი ხაიჩენის სამხრეთად იყო, გენერალ კუროკიმ თვისი ლაშქარი ლიაოიანისკენ წასწია. იაპონელებს ეგონათ, რუსები ხაიჩენთან წინააღმდეგობას გაუწევენენ, იქ შეიგვიანებდნენ და ამ დროს გენერალი კუროკი გზას გადუჭრიდა და მოიმწყვდევდა. მაგრამ რუსებმა ხაიჩენი დასთმეს და ჩრდილოეთისკენ წავიდნენ. გენერალ კუროკის ლაშქარი ორ გზით მიდის ლიაოიანზე. წინ განსეენებულ გენერალ კელლერისა და გენერალ გერშელმანის ჯარები ელობება, მაგრამ გენერალი კუროკი თავისას არ იშლის და თანდათან წინ მოდის. როგორც მზვერავ რაზმების ცნობებიდან სჩანს და მოწონავე ჯარების შეტაკებაც გვარწმუნებს, გენერალ კუროკის ამ გვარად უნდა ჰყავდეს თვისი ლაშქარი განაწილებული: სიხეანთან, ლიაოიანის გზაზე 30,000 მეომარი, ლიაოიან-ფინხუანჩენის უმთავრეს გზაზედ—50,000 მეომარი, მეკედენის გზებზე—30,000 მეომარი და 8—10 ათასი მეომარიც სათადარიგო ჯარს შეადგენს.

პორტ-არტურიდგან ნავები გამოსული და ხუთშაბათს ჩიფუს მისული ჩინელები ამბობდნენ, ზღვასა და ხმელეთზე სამი დღე განუწყვეტელი ბრძოლა იყო და იაპონელებს იმედი ჰქონდათ პარასკევს იერიშით აელოთ პორტ-არტურია. გემ-ნავები მთა-დაოს კუნძულებთან იდგიან, რომ პორტ-არტურის ნავთსადგურში დაუყოვნებლივ შევიდნენ, როდესაც ციხეს აიღებენო. აღმირალ სკრიდლოვის მოქმედებამ აიძულა იაპონელები, ეხლავე მიიტანონ იერიში ციხეზეო. (რ. ვ.).

—

ლონდონის გაზეთებს ატყობინებენ, ვითომც 13 ივლისს, როდესაც იაპონელები ნიუ-ჯუანს დაეცნენ, ერთი რუსის რაზმი, რომელშიაც 5,000 მეომარია, უკან ჩამორჩა გენერალ შტაკელბერგის კორპუსს. იაპონელებმა მოიშუყვდიეს ეს რაზმი გოკანთან, სადაც გამაგრებულა და მტრის მოგერება სწადიანო. (იქვე.).

—

„ბერლ. ტაგ.“-ის სიტყვით, ლიაოიანი სამაგალითოდ არის გამაგრებული. ექვსის მილის მანძილზე ქალაქიდგან რკინის გზა არის გაყვანილი ერთ მაღლობამდე, რომელიც საგანგებო ციხეს წარმოადგენს. ქალაქს გარშემო, ორის მილის მანძილზე სამხრეთად გაკეთებულია 16 ფორტი; ერთი-ერთმანეთზე ეს ფორტები მხოლოდ ნახევარ-ნახევარ მილით არის დაშორებული. გარშემო მრავალი თხრილებია ამოღებული, სიღრმით 10 ფუტი და სიგანით 6. თხრილებს რკინის მავთულები აქვს შემოვლებული. რკინის გზასა და მდინარე ტაიძის შუაც მრავალი სანგარებია (ვას.).

—

გენერალი კუროკი დეპეშით იუწყება, რომ ლიაოიანსა და იმ ადგილებს შორის, სადაც მისი ლაშქარი არის, რუსებს რავდენიმე გამაგრებული მაღლობი უჭირავთ.

გრაფი პფეილი „ლოკ. ანც“-ში ამბობს, გენერალ კუროპატკინის სისტემას ეკვის თვალით ნუ უყურებთო. იმის აზრით, რუსის ლაშქრის სარდალს მანჯურიაში ის განზრახვა აქვს, რომ დრო გაიყვანოს როგორმე, ვიდრე მეჩვიდმეტე კორპუსიც არ მიეშველება, რუსეთიდგან მომავალი (რ. ვ.).

—

ლიაოიანიდგან იწერებიან, გენერალ კუროკის უმთავრესი სადგომი სიაოხეკოაში არის, ფიენ-შუი-ლინის უღელტეხილთან. კუროკისა ჰყავს 3 დივიზია და 3 სათადარიგო ბრიგადა. როგორც ეტყობათ, იაპონელების ჯარს ახალი იარაღი არა ჰყოფნია და ზოგი ძველი თოფებით შეუიარაღებიათ. ამას ამტკიცებს ძველის მოყვანილობის ტყვიები, რომლებიც მხოლოდ ეხლა შენიშნეს.

მესამე დღეა, რაც ჩინელები მარხულობენ და პარაკლისებს იხდიან, რომ ცამ წვიმა აღირსოს. საშინელი გვალვაა. (ბ. ვ.).

—

იაპონელები არავითარ ცნობებს არ აცხადებენ თავის ჯარის რაოდენობის შესახებ და ამიზედ არც უცხო გაზეთების კორესპონდენტებს აწერინებენ რასმე. ყოველი ამგვარი ცნობები მხოლოდ გენერალ კუროპატკინის მოსხენებაზე არის დამყარებული. ყველას ეხლა სალაპარაკოდ ის გახდომია, რომ იაპონელების ლაშქრები გაერთდნენ და ერთად მოქმედნენ. მომეტებული ნაწილი ინგლისელ სტრატეგებისა იმ აზრისაა, რომ ეხლა-კი დადგა ის დრო, როდესაც იაპონელებმა თავისი გეგმა უნდა შესრულონ და გენერალ კუროპატკინის ლაშქარს ალყა შემოარტყან. ზოგი სამხედრო კრიტიკოსი-კი ამბობს, ეხლა კუროპატკინს ვეღარ გადუჭრიან, ეგ მაშინ შეიძლებოდა, როდესაც გაიჯოუსა და ინკოუს იყოს რუსის ჯარიო. (ნ. ვ.).

—

სანაპირო დარაჯთა კორნეტმა დაწერილებით უამბო «მოსკოვ. ვედ.» კორესპონდენტს, როგორ მოხდა 18 მაისს ბრძოლა და, სხვათა შორის, უთხრა: მე კარგად მახსოვს, რომ იაპონიის გვარდიის ავიცერი, რომელსაც მე ხელით შევებრძოლე და დავეჭერი კიდეც, რუსულად მლანძღავდა, დაბრანძულს მეძახდა (რაც მართალი იყო) და უცენზურო სიტყვებით მიხსენიებდა მეცა და მთლად ყაზახებსაც.

ეტუობა, იაპონიის გვარდიის ოფიცერი იმის დაწყებამდე დალაქად ან მოსარეცხად იყო ომამდელსმე რუსის ქალაქში და თან ჯაშუშობდა... სოლკინი იმია, როდესაც ჩვენი ოფიცრები იძულებულნი არიან თავის წინანდელ მპარველსა და მოსარეცხეს ებრძოლონ,—ამბობს «ნოვ. ურემია».

—

საყურადღებოა. როგორ ესმის ჩინელ გლეხს ნეიტრალიტეტი და როგორ ასრულებს. ამის დასახასიათებლად «ვოსტ. ობოზრ.»-ს შემდეგი ამბავი მოჰყავს.

რუსი საკვეშია და ბზეს ყიდულობს ჩინელისაგან, ბეგრიც რომ ჰქონდეს, ის ნახეგარსა ჰყიდის, ნახეგარს ინახავს.

— რატომ სულ არა ჰყიდი? მე ფულს ეხლავე მოგცემ,—ეუბნება რუსი.

— იაპონელი მოვა, იმასაც დასჭირდება, იმასაც ქამა (კუში-კუში) უნდაო,— გულახდილად ამბობს ჩინელი და დარწმუნებულია, რომ სამართლიანად იქცევა. ფიქრადაც არ მოსდის, რომ ეს სიტყვები რუსისათვის საწყენია.

—

ტოკიოდგან იწერებიან 18 ივლისს: ადმირალ სკრიდლოვის ესკადრა რაკი ვლადივოსტოკს დაბარუნდა,იაპონის მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ რუსის კრეისერებს გამოდმებული თვალყური ედევნოს. ჯერ ოთხი სამხედრო გემი მიეჩინა და შემდეგ მთლად ადმირალ ტოგოს ესკადრას ვლადივოსტოკისკენ გადიყვანს. (კას.).

## ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ

—

*** ჯერ ისევ იანვარში ტფ ქალაქის მოურავთან ალრუთინსკი - დოლგორუკოვი შუადგომლობდა ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე, რომ იმათი საქმეები, რომელთაც ქალაქის მიერ სავალდებულო დადენნიფებათა დარღვევა ჰბრალდებათ და ამის გამო პასუხის გებაში იქმნენ მიცემულნი, რიგის გარეშე, ე. ი. დაჩქარებით,—იქმნას გარჩეული და ამისათვის მიენდოს ერთ მოამრიგებელ მოსამართლეესა. ეხლა ტფ. ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ატყობინებს მოურავის მოადგილეს თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილს, რომ ტფ. მომრიგებელ მოსამართლეთ ისედაც აუარებელი საქმე აქვთ და კარ შემოძღიან ქალაქის საქმეები ერთ-ერთ მათგანს გადავსცე, რადგანაც სხვა საქმეებს სხვა მომრიგებელი მოსამართლენი ვერ აუვლენო; ხოლო თუ ქალაქი მოინდომებს თავის ხარჯით მომრიგებელ სასამართლოს დაარსებას, რომელიც მხოლოდ ქალაქის საქმეებს განიხილავს, მე ხელს შეგიწყობთო. დასასრულ, ტფ. ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ატყობინებს, რომ ქალაქს სულ ამ საქმეზედ ერთ დროულად დადხარჯება 550 მ. და ყოველ წლიურად სასამართლოს შტატის შესანახად, სდგომების ქირად, განსახებლად და გასაბობად—5760 მანეთი.

*** „ქართვ. შორნი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ მიიღო კიპიუერის ბანკის წყვრთა კუბისაგან 100 მანეთი „საზოგადოების“ ფუნილეის აღსანიშნავად.

*** ქ-ნმა ს. გ. როსტოფოვსკაიამ მიმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, რომ ქალაქმა დაუთმოს მას უფასოდ პატარა ადგილი ალეკსანდროვის ბაღის შუა ნაწილში, გოგოლის ბიუსტის მახლობლად, სადაც ქ-ნ როსტოფსკაიას განზრახვა აქვს გაკმართოს სამკითხველო გოგოლის სახელობაზედ. სამკითხველოსათვის ფარდულს არ აკგებენ და მკითხველთათვის დასდგამენ მხოლოდ სკამებს, ხოლო თუ წვიმა იქნება, მაშინ ქოლგებს იხმარებენ. გარდასახადი იქნება 3 კაპ. ქ-ნ როსტოფსკაიას სურს თავის სამკითხველოში ყველა ენაზედ იქონიოს წიგნები.

*** ტფილისში არსდება ახალი ამხანაგობა, სახელად «სამთო-სამრეწველო ამხანაგობა ლენარ», რომელსაც აზრად ექმნება განჯის გუბერნიის, ელახის მაზრის თაუზმეტგამის აგარაკებში სპილენძის მადნების დამუშავება.

*** ტფ. საქალაქო საარქიტექტო საზოგადოებამ აცნობა ქალაქის გამგეობას, ფინანსთა სამინისტრომ ნება დაგვრთო, რომ ბირალოდ მივიღოთ სამკურნალო წყლები და გოგირდის აბანოები არამც თუ იმ დაფასების მიხედვით, რაც გოგირდის აბანოები ან სამკურნალო წყლები ჰღირს, არამედ იმის მიხედვითაც, თუ რა შემოსავალი მოაქვს ამ აბანოებსა და სამკურნალო წყლებსაო.

*** დღეს, 27 ივლისს, სალამის, ეკლესიებთან ქალაქის ყველა სასანატორო ეზრუნველთ; კრებაზედ განხილავენ იმ საქმეებს, რომელიც ქალაქის სანატორულად დათვალიერების დროს შეაყენენ.

*** როგორც «ნოვოე ობზრ.»-ს სწერენ, ფოთში თავს დასხმიან დილის 10 საათზედ და გაუძარცვავთ პეტერბურგის ამხანაგობის „ნადეჟდას“ აგენტი ბ-ნი ლავრ. მგელაძე. წარუთმევიათ რამდენიმე ასი მანეთი და ნივთები და შემდეგ მოუფარცხლავთ «ნაბადისაკენ». ბოროტა-განმზრახველთა კვალისთვის ჯერ ვერ მიუგნიათ.

*** როგორც კავკასიის სამკურნალო გამგეობის ცნობებიდგანა სჩანს, 1-ლ ივლისიდგან 8 ივლისამდე ტფილისში ავად გამხდარა სხვა-და-სხვა სენით 12 კაცი. ამათში არც ერთი შემთხვევა არა ყოფილა სიკვდილისა.

*** ტფ. პირველ ვაჟთა კლასიკურს გიმნაზიაში მოწაფეთა ხელმეორე გამოცდა, მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ კლასის უმცროსს განყოფილებასა და პირველ კლასში, აგრეთვე იმათი გამოცდა, რომელთაც სხვა-და-სხვა კლასებში შესასვლელი მოწმობა აქვთ, დაიწყება 23 აგვისტოდან და გასტანს 28 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება 1-ლ სეპტემბერს.

*** ქუთაისის რეალურ სასწავლებელში მოწაფეთა ხელმეორე გამოცდა სხვა-დასხვა კლასებში გადასასვლელად დაიწყება 23 აგვისტოს, ხოლო მისაღები ეგზამენები და გამოცდა მოწმობათა მისაღებად მოჰხდება 25 აგვისტოს.

*** როგორც ბაქოს გაზეთები იუწყებიან, ბაქოს ექიმებს დაუმტკიცებიათ, რომ სტეფანე რენშეტნიკოვი ნამდვილად ხოლერით გამხდარა ავად. რენშეტნიკოვი ამ ქამად უკეთესობაშია.

*** 20 ივლისს ქალ. ფოთში, «ნაბა დას» ნაწილში, გაძარცვეს გლეხი წულაია.

*** ტფ. ოლქის სასამართლოს სესიად ქალაქ გორში, 23 ივლისს, გაარჩია საქმე გორის მაზრის სოფ. სენეკვის მცხოვრების, გლეხს ბირთველ ხუბულაშვილისა, რომელსაც ჰბრალდებოდა თავისისავე ძმის სანდროს მოკვლა სადავო მიწების გამო. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ბირთველა ხუბულაშვილი გულმოსულობის დროს ძმის მოკვლაში და გარდაუწყვიტა ოთხ-წელისავე უფლება-უშორესობათა ჰამორომეგა და პატიმრთა გამასწორებელ ახალშენში 3 წლითა და 6 თვით გაგზავნა.

*** გაზ. «ცნობის. ფურცელი»-ს 2565 №-ში დაბეჭდილია შემდეგი შენიშვნა მოქალაქეთა მამასახლისის ბ-ნ სტ. დანდურავის შესახებ: „ეს მეოთხე თვე იქნება, ტფილისის მოქალაქეთა მამასახლისობა დაეკავა, როგორც კანდიდატს, სტეფანე დანდურავს, რადგან ყოფილმა მამასახლისმა ბუდდანოვმა სამსახურს თავი დაანება ვადის გასვლამდე. ბუდდანოვი არავითარ ჯამაგირს არ იღებდა, ბ. დანდურავს კი მოქალაქეების რწმუნებულთა კრებამ 2,000 მანეთი დაუნიშნა წელიწადში, რწმუნებულთა ეს დადგენილება გუბერნატორმა უსვე დამტკიცა. არ ვიცით, რწმუნებულთა მოლიდინი ბ-ნმა დანდურავმა როგორ გაამართლა და კეთდება თუ არა რამე მოქალაქეთა გამგეობაში, მაგრამ არ შეგეძლიან არ აღვნიშნოთ შემდეგი არა-სასურველი და, თუ ვნებავთ, უცნაური მოვლენაც. საქმე ის არის, რომ ბ-ნი დანდურავი ერთსა და იმავე დროს მოქალაქეთა მოურავადაც არის და ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობაშიაც მსახურებს. ბ-ნი დანდურავი დღისით რკინის გზის გამგეობაში მსახურებს, ხოლო სადამოთი თითქმის შუადამამდე მოქალაქეთა გამგეობაში, ამ გარეშეოების გამო მეტად დატანჯულნი არიან მოქალაქეთა გამგეობის მოსამსახურენი, რომელთაც დღეში 12 საათზე მეტი შრომა უხდებათ. დღისით უმამამსახლისოდ არიან და საღამოთი ძალა-უნებურად უნდა მივიდნენ სამსახურში. გარდა ამისა, უხერხულ მდგომარეობაშია უმრავლესობა მთხოვნელთა. ხშირად ერთის საათის საქმისთვის მთელი დღე ეკარგებათ მთხოვნელთ. რადგან თანხმობა და ხელის მოწერა ქალაქდგზე გვინდება მამასახლისის სხვა დაწესებულებაში სამსახურისა გამო. ჩვენის აზრით, 2,000 მანეთი ძალიან კარგი ჯამაგირია და მოქალაქეთა რწმუნებულთის კრებამ გადაწყვიტოს მოსთხოვოს ბ-ნ დანდურავს, ან სხვაგან სამსახურს თავი დაანებოს, ან მამასახლისობიდან გადადგეს. თუ ბ-ნ დანდურავს ხელისანთა კეთილდღეობისთვის გული შესტკივა, თვით უნდა ეფიქრა და გადაეწყვიტა ეს საქმე.»

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

—

**Ე. ᲚᲘᲝᲜᲘᲫᲔ.** არ ვიცით, ჩვენ სიონელებმა, ვის მივმართოთ, რა ვქნათ და ვის შევეფაროთ თავი. უპატრონოთ მიტოვებული და ხელ-აღებული არა გვინაზავსო-რა, როგორც ეს სულის მღოფავი ქალაქია. ირგვლივ მთელი ქალაქი საეკლესიო ხალხით, ნამუს ახდილ ქალებით და უფრო საეკლესიო დუქნებით, სწორედ ამ საეკლესიო დუქნებში მცხოვრებ ძმა-ბიჭების ხელეკრ ახდილ ნარნარა ქალების მიზეზია, რომ ნამუსიან ქალსა და ვაჟს ველარ გაუვლია იქით, საითაც ამ ვაჟბატონების და ქალბატონების საეფოა: ანაგის ხევზე, სადაც აუარებელი ხალხი დაიარება, ციხის კარებში, ციხეში, ახალ გზაზე, შუა ბაზარში, ხაზინის ახლო და სხვა და სხვა. ამ ზემოთ დასახელებულ ადგილებში ეკეკლესიო ყოველი დღე და ღამე განეუწყვეტლივ არღანი და «ბუზიკა», და ძმა-ბიჭების უწმაწური სიტყვები ისმის.

ამათ და ამ ამბავმა თქვენი ქირი წაიღოს, ამათზე არას ვიტყვით და არც ხმას ამოვიღებდით, მაგრამ მეტათ თავზარ დამცემმა ამბებმა და შემთხვევებმა გვაოქმეგინეს ეს. აი რა მოხდა ამ ცოტა ხანში:

ამას წინად შეუტევიდნენ სახლში ერთ მოხუც კაცს (გლახაშვილს) და გამოფაშვეს.

გატეხეს ს. ოთაროვის საწვრილმანო მაღაზია და გაიტანეს, რაც მოეწონათ.

გატეხეს ასეთივე მაღაზია კ. დ. ონანოვისა.

10 ივლისს საღამოთი ასტუდა ბუულვარის თავში რეკოლვერის სროლა, ხანჯალდანების ტრიალი, რომლითაც დასჭრეს სიონელის თვით-მმართველობის მდივანი მ. ი. შალკო. ამ დროს ისეთი არეულ-დარეულობა იყო რომ, გულ-ხახეთქილ ხალხს (ნამტანავად ქალებს), ბეგეგონა ვეგნ. ნოძუ შემოესია ქ. სიონელს და თავის სამხედრო მოქმედება აქ გადმოიტანაო.

მაგრამ მეტათ შემაძრწუნებელი ამბავი ეხლა მოხდა: ივლისის 21-ს დილით, საათის საეზე, თავის სახლში ალაბურეს და საქუფთე ხორცივით აკეკეს სიონელაში ყველასგან პატიოსნად ცნობილი ნიკალაი სტეფანეს ძე ოვაკიმოვი. მოჭკლეს ცოლისა და ცოლის დის წინ! საცოდავი ქალები მუხლ-მოდრეკით ეხვეწებოდნენ თურმე: ნუ მოგვიკლავთ, წაიღეთ ფული, ვერცხლეული, ნივთები, ავეჯეულობა, ტანისამოსი, ოღონდ ცოცხალი გაუშვითო. თვითონ საწყალი ნიკოლაე ეფიცებოდა თურმე, არ გაგეცემთ, წაიღეთ, რაც რამ მაბადია, არ გეყოფთან? აი მაღაზიის გასაღები, წაიღეთ გააღეთ და გამოიტანთ, რაც გინდათო. ამ ლაღადმა, ხეეწნა-მუდარამ ვერ მოუქნია ავაზაკებს გაქვავებული გული და მაინც ბატკანივით ყელი გამოსჭრეს, აკუწეს, წაააყარეს ზედ სკამები, ლოგინი, ტანისამოსი, და სხვა. ქალებს თვალები აუკრეს და წაიღეს, რაც უნდოდათ.

ავაზაკებმა თურმე აიენის სეეტს მოაბეს გრძელი თოკი, ამ თოკით აცოცდნენ აიენაზე; სამი შინ შესულა და სამიც გარეთ აიენაზე დამდგარა. შეშინებულ ხარდაცემულ ქალაქებისათვის თვალები აუკრავთ და საწყალი ნიკო კი მოუყლავთ. ქალებმა იცნეს ორი ავაზაკი, რომლებიც მაშინვე დაუპატიმრეს. ამბობენ, ერთი კიდეც გამოტეხილი და დაუსახელებია ამხანაგები.

ქართველი.

### ᲒᲔᲚᲐᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲫᲐᲠᲪᲕᲐ.

ორშაბათს, 19 ამ თვეს, საღამოს შვიდ საათზედ მთელს ქუთაისს ელვასავარ მოდო მეტად თავზარდამცემი ამბავი დიდებულის და ყოველი ქართველისათვის საამაყო და სათაყვანო გელეთის მონასტრის გაძარცვისა. გულ-ბახეთქილნი ერთმანეთს ეკითხებოდნენ: როგორ, ვინ, როდის ჩაიდინეს ეს საშინელება, მაგრამ დაწვრილებით არავინ იცოდა. წინამძღვარის დებეშა მხოლოდ შემდეგის ორის სიტყვით გვაუწყებდა ამ საწუხარო ამბავს: «გელათის მონასტერი გაძარცვეს». ყოველად სამღვდელო ლეონიდემ, უზომოდ შეწუხებულმა ამ მოულოდნელის ამბის გაგებით, მოინდომა იმ ღამესვე გამგზავრება მონასტერში, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. სამაგიეროდ ადმინისტრაციის წარმომადგენელთათან იმ ღამესვე მოიალაპარაკა და დეპეშები გაგზავნა, სადაც საჭირო იყო. მეორე დღეს, ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, ყოველად სამღვდელო გაემგზავრა გელათისკენ, დაწვრილებით დაათვალიერა ნაშთნი და აღნიშნა დაკარგული ნივთები, აღმოჩნდა, რომ ეკლესიის სიჭარისა გამო წაელოთ მხოლოდ შემდეგი შვიდი ნივთი: 1) ბეჭედი დავით აღმაშენებელისა, 2) ოქროს ბარძიები, თვლებით მოჭედილი, 5) სარტყელი, ძვირფასის თვლებით მოთუული, 4) ოქროს პანაღია, 5) ორი ვერცხლის ბარძიმი და ვერცხლის სტაქანი, ფულად კი 252 მანეთამდის. აქვე გამოიტანა შემდეგი დაწვრილებითი ცნობანი მონასტრის გაძარცვისა. სამის დღის წინად ამ ამბისა, დღით, პარასკევს, მონასტერში მისულა სამი უცნობი კაცი, ორი ჩოხებში გამოწყობილი და ერთიც, უფრო ახალგაზრდა, პალტოთი და შლიაპით, ფიგნით კი „ბლუზა“ სცმია. რადგან ეს სტუმრები მეტის ცნობის მოყვარეობით ათვალიერებდნენ მონასტრის ეზოს და გარშემო ადგილებს, ერთის ბერთაგანს ეტეი შეპარვია და უკითხავს: ვინ ბრძანდებით და ან ვის ეძებთ? პალტოიანს უპასუხნია, რომ ის რაკეველია და ორნი კი სამტრეფლენი, თან გვარებიც დაუსახელებია. აქ იმიტომ მოვედითო, რომ გვინდა ვისაღილოთ ქალებთან ერთადო, რომლებიც ადრევე გამოვამგზავრეთ და ეხლა ველარ გვიპოვნიაო. ბერი მაშინვე მიმხვდარა, რომ ისინი სამიენი გურულები იყვნენ, ეს ცხადად სჩანდა იმათ ლაპარაკიდგან (თვით ის ბერიც გურული), მაგრამ ვერ გიგეო, თუ რისთვის მალავდნენ თავისს ვინაობას. ბერს მაინც ამ გარეგობისათვის ყურადღება არ მიუქცევია და უთქვამს, აქ დღეს ქალები არ ყოფილანო. ამ სიტყვის შემდეგ, ისინიც მალე განშორებიან.

ორშაბათს, ნაშუადღევის 4—5 საათზედ, ბერები ლოცად დამგარან. რადგან ორშაბათი იყო და თან წვიმიანი დღე, გარეშე მლოცველთაგან არაენი ყოფილა. სწორედ შუა ლოცვა ყოფილა, როდესაც ეკკლესიაში შემოსულა ისევ ის პალტოიანი ყმაწვილი, მისული ბერთან და ორი შაურის სანთელი უყიდნია და ხატებისთვის აუნთია; ცოტა ხნის შემდეგ გარეთ გამოსულა და დაუძახნია: «ბაღე არის». არ გასულა ორი წუთი, რომ ეს ყმაწვილი, რომელიც წინად ხატის წინ გულმოდგინეთ ლოცულობდა, ამოღებულის ხანჯლით ხელში და ექვსი ჩაქუჩად ჩაცმული, ბერდანკებით შეიარაღებული ყაჩაღები დასავლეთის კარებიდან შემოკენილნან და ერთხმად დაუძახნია: «დაწვეთ ყველანი იატაკზე, თორემ დაგხოცეთო.» თავზარ-დაცემულნი ბერები ყველანი მიწაზე დაცემულან და თვალები დაუხუჭია, მხოლოდ გურული ბერი ზოგიერთის სახეებს დაჰკვირებია. გარდა ამ ექვსის ყაჩაღისა და ერთის ბულადისა, როგორც მერე გამოირკვა, რამდენიმე გარედ დაჩჩენილნა სადარაჯოდ და აგრეთვე მონასტრის ეზოს დიდ და პატარა კარებთან. როდესაც ბერები ყველანი იატაკზე დაწოლილნან, პალტოიანი ყმაწვილი მისულა იმ ბერთან, რომელსაც ძვირფასი ნივთები აბარია და ძალით მოუყვანია იმ ადგილს, სადაც ეს ნივთები ინახება. ბერს გაუღია სალარო, ყაჩაღები მივარდნიან და ფიფინა ბაწრისათვის გადმოუყვანია ზემო-ანდაზნული ნივთები. ამ ფაცა-ფაცაში ერთ ბერს, რომელიც საკუთხეველში დარჩენილა, ყაჩაღების შეუმჩნეველად მოუხერხებია გარეგ გამოსვლა, წაუყვანია ბაწრისათვის ხელი და ზარი რამდენჯერმე დაურეკია, მაგრამ ამ დროს მივარდნია ერთი ყაჩაღთაგანი, რომელიც კარებთან დარაჯობდა, და უცაბად ბაწარი ხანჯლით გადაუჭრია. ამ დროს 14—15 წლის სვანი, რომელიც ერთ-ერთ ბერთან ყოფილა მოსამსახურედ, შევარდნილა სამრეკლოზედ და მეტის-მეტის სიჩქარით დაუწყია ზარების რეკვა (როდესაც რეკენ ცეცხლის გაჩენის დროს). ეკკლესიის კარებზე მდგომ ყაჩაღს რამდენჯერმე თოფი დაუხლია ბავშვისათვის. მაგრამ ის ამოფარებია ქვის სვეტებს და რეკა არ შეუჩერებია. მაშინ კი ყაჩაღი მივარდნილა სამრეკლოზე, ბავშვი ძირს ჩამოუთრევია და ეკკლესიაში შეუფდია. მაგრამ აჩქარებულმა ზარის რეკამ აცნობა ახლო-მახლო მცხოვრებთ, რომ მონასტერში რაღაც უბედურობა ხდებოდა. ამაეე დროს ერთი მედავითნე, რომელიც ლოცვაზე არ ყოფილა ავათმყოფობისა გამო, გამოსულა საკანიდამ, მონასტრის ზღუდეზე გადამხტარა და სოფელში ყვირილი დაუწყია, გვიშველეთ ყაჩაღები დაგვეცნენო. იქვე, მონასტრის მამულში, მუშები ყოფილიყვნენ. როგორც გაუგიათ ზარების რეკვა და ყვირილი, დაუვლიათ ხელი თოფებისთვის და გაქცეულან მონასტრისკენ. მაგრამ აქ კარებში ყაჩაღები დახვედრიან და თოფები დაუწლიათ. სამეფნიეროთ, არავინ არ დაშავებულა. ეს ამბავი ისე სწრაფათ მოხდარა, რომ ათი წუთიც არ გასულა; ეკკლესიაში მყოფთ ყაჩაღებს, როგორც გაუგონიათ ზარების რეკვა და თოფის ხმა, სიჩქარით წაუვლიათ ხელი, რაც მოუხელებიათ, უცაბ ბარეთ გამოკეცვნენ-ლან და ტყეში დადასვეწიან. უეჭველია, იმ პატარა ბავშვს ზარები რომ არ დაერეკა, მონასტერში გლეხებიც არ ამოვიდოდნენ, მაშ ყაჩაღებიც თოფებს არ დაახლოდნენ და ეკკლესიაში მყოფი ყაჩაღები აუჩქარებლივ, გულდამშვიდებით ყველაფერს, რაც კი რამ იყო მონასტერში, ჩალაგებდნენ ტომრებში და არხეინად გაუდგებოდნენ გზას.

პოლიცია დიდის ენერგიით და გულმოდგინეენ შეუდგა ყაჩაღების აღმოჩენას და ვიმეფლოვნებთ, რომ დაკარგული ნივთები ისევ დაუბრუნდება მონასტერს. აქეე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველად სამღვდელო ლეონიდეს განკარგულებით მონასტერს ღამით ჰყავდა საკმაო ყარაულები, მაგრამ ვინ მოიფიქრებდა, თუ შუადღისას ასე თავხედურად დაეცემოდნენ ყაჩაღები. ყველას გული გვისკდებოდა, სანამ გავიგებდით გაძარცვის დაწვრილებით ამბავს, ვშიშობდით, ვაი თუ რამე ავნეს ხახულის ღვთის მშობლის ხატს, რომელიც შეტად დიდი განძია. ბ-ნი ა. ხახანაშვილი ამბობს: «ეს ხატი ქართული ხელოვნებისა, ვერცხლით შეუდღილი, ისეთი სიფაქიზით და სისრულით არის აგებული, რომ თვით ბიზანტიაშიაც არ შეუქმნიათ ამაზე უკეთესი». თვით გელათის მონასტერზედ ასე ბრძანებს ბ-ნი ა. ხახანაშვილი: «განთქმულ გელათის მონასტერში ისეთი ძვირფასი ნაშთნი არიან დაცულნი, რომ მხოლოდ ორი-სამი მუზეუმი ევროპაში შესძლებს მათთან ქიშმბასო», აი ასე ფასდაუდებელია ჩვენთვის გელათის მონასტერი, მაგრამ უგნურმა ხელმა არ დაზოგა იგი. მეტად სამწუხაროა ის გარემოება, რომ, როგორც სჩანს, ერთი ამ ყაჩაღთაგანი (პალტოიანი) უნდა ყოფილიყო «ნასწავლთაგანი». ბერები ირწმუნებიან, იმის ლაპარაკს ეტყობოდა, რომ ის უნდა ყოფილიყო საშუალო სასწავლებლის მოწაფე მაინც. აი ეს ახალგაზრდა «ნასწავლი» უწევს ბელადობას ყაჩაღებს, რომ მათ შემოდალონ და შეაგინონ დიდებული ნაშთი ჩვენის კულტურისა, რომ მოიტაცონ და აღგვავონ დედა-მიწის ზურგიდამ ეროვნული ძეგლი; ამაზე მეტი ველურობა განა კიდევ შესაძლოა? სად არის სინიდისი, პატიოსნება, სამართალი, თავ-მოყვარეობა, განათლების აჩრდილი, სად არის ადამინობა!

რ. კ—ი.

### ᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲐᲓ

(ᲒᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲣᲪᲐᲠᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲔᲡᲢᲐᲢᲔ ᲓᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲔ).

წელს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ორი მასწავლებელი გარდაიცვალა: ქართულის ენისა-/-ს. უკეკრიძე და ბერძნულისა—ესტატე დამბაშიძე. ორსავე მასწავლებელს პირადად ვიცნობდი, რაადგანაც ერთს დროს, წარსულ საუკუნის ოთხმოციანს წლებში, ორნივე ჩემი აღმზრდელნი და მასწავლებელნი იყვნენ. იმ დროს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში თითქმის ყველა მასწავლებელი სემინარიელი იყო; სასულიერო აკადემიაში კურს-დამთავრებულნი მასწავლებლობას არც კი კადრულობდნენ: ისინი პირდაპირ, აკადემიაში კურსის დამთავრების შემდეგ, მოულობდნენ სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის და ანგმის თანაშემწის (ინსპექტორის) ადგილს. ასე იყო, სანამ უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ არ მოუსპო სასულიერო წოდების წარმომადგენლებს—ზედამხედველის არჩევის უფლება... ეხლა სასულიერო სას-

წავლებელთა ზედამხედველებს უწმინდესი სინოდი ნიშნავს.

ბ-ნი ყვიკარიძე ასწავლიდა ოთხს უფროსს კლასში ქართულს ენას. ეს ის დროა იყო, როდესაც ქართველ მოწაფეთათვის ქართული ენა საეკლესიო სასწავლებლებში. თითოეულს კლასში დანიშნული იყო თითო გაკვეთილი ქართულის ენისა, რომლის სწავლების პროგრამა არ არსებობდა; თითოეული მასწავლებელი ისე ასწავლიდა ამ საგანს, როგორც თვით სურდა. «ხიშვნის» ამ საგანში (ბალებს) მნიშვნელობა არ ჰქონდა, ქართული გრამატიკას არ ასწავლიდნენ... მაშინ ჩვენმა დაუღალავ-ა პედაგოგმა ბ-ნმა იაკობ გოგებაშვილმა შეადგინა «ბუნების კარი», რომელიც შემდეგში გადიქცა ქართულის ენის საუკეთესო სახელმძღვანელოდ და რომლის მსგავსი, რამდენადაც ვიცით, უცხო ენებზე იშვიათად მოიპოვება. განსვენებულმა ყვიკარიძემ, როგორც სამშობლო ენის მოტრფიალემ და ღრმად მცოდნემ, მოწაფეებსაც შეგვაყვარა ქართული ენა; კლასში გვაკითხებდა სხვა და სხვა ქართულს წიგნებსა, გვასწავლიდა ქართულ გრამატიკას, გვაწერინებდა თხზულებას. განსვენებული ყვიკარიძე გვაძლევდა წასაკითხად არა თუ მარტო ქართულს, არამედ რუსულ წიგნებსაც... იმ დროს ძლიერ ძნელი იყო ქართული წიგნის მოპოვება; ოცდა ოთხის წლის წინ ძნელად ნახავდით ქუთაისში წიგნთა საკუთრში ქართულს წიგნსა... ბ-ნ ყვიკარიძეს მოსცლას კლასში დიდის აღტაცებით მოეცლოდით, რადგან ყოველს გაკვეთილზედ უსათუოდ ახალს რამეს გვეტყოდა, ახალს წიგნს წაგვიკითხავდა, ახალს დარიგებას მოგვცემდა. ერთის სიტყვით, ის სცდილობდა მოწაფეთა განვითარებას, მათ გულში სწავლა განთლების ტრფიალის გაღვიძებას... ბ-ნ ყვიკარიძის მამა-შვილური დარიგება არც ერთს მის მოწაფედ ნამყოფს არ დავიწყდება. სასულიერო სასწავლებლის მეოთხე კლასში ბ-ნი ყვიკარიძე გვასწავლიდა ქართულს გრამატიკას, ისტორიას და გვაკითხებდა ჩვენის საუკეთესო მწერლების თხზულებებს...

1882 წელს გაზაფხულზე ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მობრძანდა სარევიზიოდ ბ-ნ ს. მიროპოლსკი, რუსთა ცნობილი პედაგოგი. ის ჯერ განსვენებულ ეპისკოპოს გაბრიელს წარუუდგა და შემდეგ სასულიერო სასწავლებელში მოვიდა. ზედამხედველად ბ-ნი იაკობ ფხაკაძე იყო, რომელიც არიელ იქმნა განსვენებულ ასათიანის («იმედის» თანამშრომლის) მოკვლის შემდეგ. იმ დროს პ. ყვიკარიძე ავად იყო და ჩვენ, მეოთხე კლასელებს, ქართული ენა ჰქონდა. ზედამხედველმა იაკობ ფხაკაძემ მე მიბრძანა, «კაცია-ადამიანი» წამეკითხა მოწაფეებისათვის. მეც ავიღე «კაცია-ადამიანი» და დავიწყე კითხვა. მოწაფე-ამხანაგები სმენად იყვნენ გადაქცეულნი. შემობრძანდა რევიზორი, ღიმილით მოვიდა ჩემთან და ხელი ჩამოშალრთვა,—თურმე მასწავლებელი ვეგონე. რომ შეიტყო ჩემი ვინაობა, გაიოცა, სასწავლებლის წეს-რიგი, დისციპლინა მოიწონა დ ქართველის ენის შესახებ ასე ბრძანა დაახლოებით: «თქვენი მშობლიური ენა ძლიერ საფუძვლიანად უნდა შეისწავლოთ. სირცხვილია, კაცმა თავისი ღვიძელი დედა-ენა არ იცოდეს. თქვენ ხალხში ტრიალებთ, შეაგროვეთ ზღაპრები, სიმღერები, ჩასწერეთ რეგულებში, ნუ დაუკარგავთ შთამომავლობას წინაპართა ნამოქმედარს... მე ვეცდები, ქართულ ენის სწავლება გავაფართოვო, ამ ენას უფლება მოვუპოვოთო», და სხვ.. ბრძანა განათლებულმა რევიზორმა და კიდეც შეასრულა. ქართული ენა, მის შუამდგომლობის თანახმად, საველდებულო შტატის საგნად იქმნა ცნობილი და ქართულის ენის მასწავლებელთა მიეცათ სახელმწიფო სამსახურის უფლება... პ. ყვიკარიძესთან შეგირდები სახლშიაც დავდიოდით. მე ვაჩვენე ერთხელ ჩემი ლექსების რვეული. როგორც შემდეგ მივხვდი, პოეზიის ნასახი არ იყო, მხოლოდ რითმებს არა უშავდა-რა. პ. ყვიკარიძემ დაიწუნა ლექსები, მაგრამ მირჩია, წერისათვის თავი არ დამენებებინა: —„დღეს შეიძლება სუსტი რამ დაწერო, ხვალ ცოტა უკეთესი და შემდეგში დაკვირდები და წერის ნიჭს შეიმუშავებო“... განსვენებულს მოწაფეებზე ფრიად ნაყოფიერი, საკეთილო გავლენა ჰქონდა. თვითონ იგი განვითარებული, ნაკითხი კაცი იყო. მისი მოძღვრება, მისი მენებები სამშობლო ენისა და მოძმე ერის სიყვარულის შესახებ არაოდეს დამავიწყდება და კუბოს ფიქრამდის ნამოძღვრების მოტრფიალე ვიქნები,—რამდენადაც ეს შესაძლებელია.

ასეთივე გავლენა ჰქონდა მოწაფეებზე ესტატე ღამბაშიძესაც, რომელიც ასწავლიდა ბერძნულს ენას. ეს ენა მოწაფეებს ყოველგან სძულთ; ყველა ნატრობს, ნეტავ, როდის მოეღება ბოლო ამ ენის სწავლებასო... ეს საგანი ხელს უშლის მოწაფის ჭკუის ძალების განვითარებას. უღონებს გონებას და ღალავს მოწაფეებს... რა საპიროა ეს ენა ჩვენთვის?! მკვდარი ენაა; ის ტერმინები, რომლის გულისთვის მას ასწავლიან, ყოველს ლექსიკონშია განმარტებული... ესტატე ღამბაშიძე გრძნობდა თვის საგნის უვარგისობას და ბერძნული ენის გაკვეთილებზე ისეთის მოხერხებით იქცეოდა, რომ მოწაფეებს არ ეძინათ და არ ამთქნარებდნენ. განსვენებული მახვილის გონების და წყლიანის ენის პატრონი იყო... ზომიერი ხუმრობაც იცოდა და მოწაფეებს აცხიარულებდა... მამა-შვილური დარიგება მისგან მოწაფეებს ბევრჯერ გესმენია.. ხანდახან აღმზრდელადაც იყო დროებით... მისი სიყვარული და ხათრი ყველას გვქონდა. მის ცუღლ ძნელად ათქმენებდი მოწაფეს... ის ეპურობოდა მოწაფეს, როგორც მამა შვილსა და უფროსი ამხანაგი—უმცროსს ამხანაგს.

ასეთი იყო ეს ორი სემინარიაში კურს დამთავრებული მასწავლებელი... მათი საკეთილო გავლენა მოწაფეებზე ეკვს გარეშეა,—თუმცა აკადემიის დიპლომი არა ჰქონდათ...ან რამდენი დღეს აკადემიელი ჩვენში, რომ არას აკეთებს?! მარტო დიპლომმა რა ჰქნას, თუ თავში ცოდნა არ არის და გულში მოღვაწეობისა და ძმათა სამსახურის ნაპრწყალი არ ბეუტაგს?! ორიოდე-სამიოდეს გარდა, დღეს ჩვენებური აკადემიელები განცხრომით არიან და თვის პირდაპირის მოვალეობის გარეშე საქმე აღარ წმამთ. მერე რამდენი რამაა გასაკეთებელი?! საქართველოს ისტორია, საეკლესიო მოძღვრება, ღვთის მსახურება და სხვა მრავალი დარგი ცოდნისა ჩვენ მიერ ჯერ ხელ-უხლებელია... ამიტომაც ისმის საყვედური ჩვენის აკადემიელების შესახებ საზოგადოებაში... ოღონდაც ღირსნი ვართ საყვედურისა: მართლა რომ არას ვაკეთებთ იმ წრეში, რომელშაც სამსახური და მოდვაწეობა ჩვენთვის აღკრძალული არ არის.

აღ. ფეროძე.

## უცხოეთი

**კრიუგერის სიმღიდრე.** ამას წინად გარდაცვალებულ «ბიძია პოლს», ანუ ტრანსვაალის პრეზიდენტად ნამყოფს პავლე კრიუგერს დარჩენია ნაღდ ფულად 10.000,000 ფრანკი. ეს ფული სხვა და სხვა ბანკებშია შენახული სხვა და სხვა გვარზედ. ზოგიერთ ბანკებში კი უსახელოდ არის შენახული და ფულის გამოტანა შეიძლება მხოლოდ ბანკისაგან მიცემულ კვიტანციით და მისცემენ იმას, ვინც კვიტანციას წარუდგენს. კრიუგერი თავის ქონების თაობაზედ ყველა საბუთის ქაღალდებს სულ თან ატარებდა და არავინ ამ სიმდიდრის არსებობა არ იცოდა, გარდა პრეზიდეტის ქალიშვილისა ქ-ნ ელოფფისა, რომელსაც ექს-პრეზიდენტმა ამ ეკანასკნელ ხანში, სიკვდილის მოახლოებების ჟამს, განუცხადა და დაარიგა, თუ როგორ მოიხმაროს ეს თანხა. თუმცა კრიუგერს თამამად შეეძლო თავი ძლიერ მდიდრად ჩაეთვალა, მაგრამ კრიუგერი ისე იქცეოდა, თითქო ღატაკი ვარო. აი ეს ერთად-ერთი სუსტი მხარე ბუბრა მხცოვანის მეთაურისა სიმიდრე თვის საკუთრება მიიჩნდა. კრიუგერი სულ მუდამ იმასა სჩიოდა, რა მეშველება, ხომ მშიერი დავრჩი, გარემოება რომ შეიცვალოს!

ეხლა ზოგიერთი გაზეთი გადმოგვცემს, რომ კრიუგერის მილიონები სულ ტაუნლიაო. ამას ამოწმებს განსვენებულ ექს-პრეზიდენტთან დაახლოებული ბასტორი შოვალტერი. ამის სიტყვით, კრიუგერს ერთი გროშიც არ დარჩენია სიკვდილის შემდეგ, ხოლო რაც თვისს ბანგრძლივს სიცოცხლეშია გადაღნარჩენები და შეუქურეცია, სიცოცხლეშივე დაურიგებია შვილებისათვის ამ პირობით, რომ შვილებს სიკვდილამდე ეზრუნათ თავიანთ მამისათვის.

**ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ.** ჰიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორებმა ამას წინად არაეულობა მოახდინეს, ანუ ეგრედ-წოდებული... «ბუნტი», რომელიც გამოიწვია მთავრობის გარდაწყვეტილებამ ჰიდელბერგის ძველის ციხე-კოშკის აღდგენის შესახებს. ეს ციხე ახლა ნანგრევებს-ღა წარმოადგენს პროფესორები ამტკიცებდნენ, ციხე-შენობათა განახლება ეროვნულ ხელოვნების შეურიცყოფა-დაგმობაოო. მთავრობის მოვალეობაა, ხელუხლებლად დაიცვას ძველი ციხე-კოშკები და არა განაახლოსო, რითი გათავდება საქმე, ჯერ არ ვიცით.

## ნარევი და გასართობი

**ალექსანდრე დუმა-შვილის ცხოვრებიდან:** ოვდით გოტიეს ეხლახან ეამოსცა პარიეში თავისი მემუარები, რომელშიაც ასეთი ანეგდოტი მოჰყავს ალ. დუმა-შვილის ცხოვრებიდან:

ერთს ეგრედ-წოდებულ «საუკეთესო საზოგადოების» ქალს დაკვნივით და ძლიერ ამაყად უკითხავს ერთხელ შესანიშნავ რომანისტ-დრამატურგისათვის:

— სად გაიცნობდით ხოლმე ამ მაღალ საზოგადოების ქალებს, რომელნიც თქვენს რომანებსა და დრამებში აგრე ჭკუა-თხელად და ზნე-დაცემულებად გამოგაყვანდათ?

— ჩემს კაბინეთშო, მოკლედ და სწრაფად უპასუხა დიუმამ.

ცნობის მოყვარე ქალს პირს კატა ეცა და მეტი აღარა უკითხავს-რა..

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან).

**25 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ**

**პეტერბურგი.** გენ. ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა მისს უდიდებულესობას 23 ივლისს: «22 ივლისისათვის იაპონელთა მოწინავე რაზმები ხაიჩენიდან 15 ვერსის მანძილზე, ჩრდილოეთით, იდგნენ. მტრის ძლიერი ჯარი მიდის მდინარე სიდახთის ხეობისაკენ და მიაღწია ტაკანძამდე, ხაიჩენიდან 20 ვერსის მანძილზე, აღმოსავლეთით. აღმოსავლეთის ფრონტზე იაპონელები გროვდებოდნენ ლიაოიანის დიდ გზაზე, ხოლონგოს მიდამოებში. მათი მოწინავე რაზმი ერდაბეში სდგას (ლიაოდანსიანიდან 5 ვერსის მანძილზე, სამხრეთ აღმოსავლეთით). იაპონელთა დიდძალი ჯარი სდგას აგრეთვე გუქიაძი-ბენსიხუ. სიაბეტ-ფონტეციაპუას მიდამოებში. ბენსიხუსთან მტრის მოწინავე რაზმი ჯერ ისევ დაბანაკებულია მდ. ტაიძახეს მარცხენა ნაპირზე და უჭირავს ხეობაში გამოსასვლელი ვიწრო ხევები. იაპონელთა მოწინავე რაზმის ერთი როტა (100 კაცამდე) ბენსიხუს ახლო გადავიდა მდინარის მარჯვენა ნაპირზე, მაგრამ უკუგდებულ იქმნა და 22 ივლისს ისევ მარცხენა ნაპირზე დაბრუნდა, სიოსოირის კი თავი დაანება. მტერს ჯერ კიდევ უჭირავს ციაიჩანი».

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ.** რუსეთის ელჩმა გადასცა შეეცარის მთავრობას რუსეთის მთავრობის პასუხი იმ ნოტაზე, როელიც შეეხებოდა ბრძოლის ველიდან შეეიცარიის პოლკოვნიკის ოდეუს დათხოვნის საქმეს. რუსეთის მთავრობა ამბობს, რომ ოდეუმ, ერთ უცხოელ სახეადრო აგენტთან საუბარის დროს, გაკიცხა რუსის ჯარის მიერ ბარაბანზების მოხმარება; რუსეთის თავრობამ ეს გარემოება თავდაუმტერლობათ ჩასთვალა პოლკოვნიკის მხრივ.

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ.** (რეუტ. საგ.). იოკოჰამიდან იტყობინებიან, რომ რუსეთის პატარა გემმა, რომელიც ამას წინად იქმნა გადაკეთებული სამხედრო გემად, კურილის კუნძულებთან გაიჩერა იაპონელთა გემი, რომელიც გაჩხრიკა და შემდეგ გაუშვა.

**ᲐᲚᲔᲥᲘᲠᲘ.** გემი «მალლაკა» ისევ პორტ-ს





დ წავიდა.

**ᲡᲢᲐᲜᲓᲚᲝᲜᲘ.** («კორესპ. ბიურო»). მარტალი გამოდგა ის ამბავი, რომ ბოლგარიიდან მაკედონიაში დაბრუნდა გადახვეწილთა 85%-ზე მეტი. 1800-ზედ მეტ ეკანძმოხეს დანაშაულობა ეპატიჟა. პატიტებულნი 22 ივლისამდე უნდა დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ, იმედი აქვთ, რომ ამ ვადას კიდევ მიუმატებენ.—ახლა დაწესებულ ეანდარმერიაში თითქმის 25% ქრისტეანია; ადმინისტრაციასა, სასამართლო უწყებასა და პოლიციაში სამასზედ მეტი ქრისტეანი მოხელეა; უფრო მეტიც იქნება, რადგან ახალ მოხელეების მიღება ჯერაც არ დაუსრულებიათ, მას შემდეგ, რაც რეფორმების შემოღება დაიწყეს, ათასზე მეტი მოხელე დაითხოვეს სამსახურიდან და სამართალში მისცეს

**ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ.** კონტრ-ადმირალ ჯუველს, რომელიც ამ ეამად ნიცაᲨია ეგმ «ოლიმპია»-სა, «ბალტიმორ»-სა და «კლევლენდ»-ით, ებრძანა, წავიდეს ესაადრით ოსმალეთშა. ესაადრის დანიშნულება—სმირნაა.

**ᲡᲘᲓᲜᲔᲘ.** ინგლისის მისსია 21 ივლისს ლხასსს მივიდა. თიბეტელებს წინაადდეგომა არ გაუწევეთათ.

**ᲠᲣᲛᲘ.** კერძო აუდენციაზე პაპამ მიიღო ახლად დანიშნული მინისტრ ოფ-ფენდენტი ვატიკანში ნარიჰკინი, რომელმაც რწმუნების ქაღალდები გადასცა.

**ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲢᲘ.** ადგილობრივის თამბაქოს ქარხნის მაღაზიაში ცეცხლი გაჩნდა. ზარალი ორ მილიონ კრონამდეა.

**ᲞᲘᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.** ჭუბეკინს, რო�Ა პრეზიდენტი ბატლ ორდონეკი ქალაქში მიდიოდა, მისი ეტლის ქვეშ ყუმბარა ააფეთქეს. პრეზიდენტი არ დაშავებულა.

**ᲕᲘᲔᲜᲐ.** 24 ივლისს გარდაიცვალა ბადენში ბაზ. «ნოგა ფრაიე პრესსე»-ს სამუსიკო კრიტიკოსი ედუარდ ჰანსლივი.

**ᲛᲝᲜᲐᲙᲝᲕᲘ.** ქალაქში გადადგო 20 ათასი მან. სასინტარო რაზმისათვის ეტლების სასყიდლად და 12 ათასი მან. თბილ ტანისამოსის შესაძენად.

**ᲛᲝᲜᲐᲙᲝᲕᲘ.** თავადმა ტრუბეკკოიმ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა გენერალ-ადუტანტს კუროპატკინს გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლების სახელით, რომელნიც თავმოყრილნი არიან მოსკოვში დაკრძალ მეომართა საპირიოების შესახებ სათათბიროდ: «ჩვენ ყველანი, ყველა რუსებთან ერთად, გულითა და ფიქრით თქვენთანა ვართ; წინანდებურად მტკიცედ გვჯერა ღრმა რწმენის გამოძახეული თქვენი სიტყვები. ღმერთი იყოს თქვენი შემწე».—კუროპატკინმა დეპეშით მადლობა გადაუხადა თავად ტრუბეკკოის.

**ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.** გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა დეპეშა მის უდიდებულესობას, 24 ივლისს: «13 ივლისს სამხრეთისკენ გამოკვლევა გვქონდა, ჩვენმა ზარბაზნებმა კარგა იმოქმედეს და ცეცხლი წაუკიდეს სოფელ გენჯუანძის, საიდანაც მტრის ორი-ს

4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . —
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. . . . . —
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . —
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . . . —

# განცხადებანი


**გამოვიდა და ისყიდება**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამოცემანი:

## ვაი ჭკუისაგან

ა. გრიბოედოვისა, ლექსად თარგმნილი განდეგილისაგან.

ასევეა ეგრეგვე „წერა-კითხვის სახოგადოებაში“ და „ცოდნის“ წიგნის მაღაზიაში

## კაფალოგი

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

## შექსპირის პიესები

თარგმნილნი ილ. მაჩაბლის მიერ, რომელიც შეძენილ აქვს ქართ. დრამ. საზოგადოებას.

მსურველნი უნდა მიმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილს.

(4—4).

**მოითხოვეთ ძველად ნამდვილი**

**„ოდოლონი“ მ. ვ. ლებედევისა**

ეს წამალი სრულიად აკრობს რომდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძარიან-ფეხვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მოვარობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საფთიაქო საქონლის კაკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 28 მკათათვისათვის, დღისით, 12 საათზედ, ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია

## საჯარო ვაჭრობა

იჯარით გასაცემათ რიყის ექსპლუატაციისა მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზედან სიპის ქვისა და ქვიშის ამოსაღებად. პირობების შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობის სადგომში დილის 10 საათიდან 1 საათამდე. საქმის დღეები. (3—5—3).

## ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

პრიუტთან ახლოს მამული: სახნავი, საძოვარი, სთბილი და ტყე საუკეთესო წყაროებით. წლიური შემოსავალი აქვს 400 მან., აგრეთვე მსურს გავყიდო სოფელს ტყვიავში (გორის მაზრა) ექვსი დესეტინა: ახლად გაშენებული ბაღი, სახლ-კარი და სახნავი მამულები. მსურველს შეუძლიან ცნობების შეტყობა ქ. ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ საათავად-აზნაურო სახლი **ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲙᲝᲠᲘᲜᲗᲔᲚᲗᲐᲕ.**

(5—5).

გამოვიდა და ისყიდება ბიდდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში

**НАРОДНАЯ МЕДИЦИНА**

въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა, ფასი 70 კაპ.

(2—141—2).



ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

**Ბ. Დ. ᲗᲝᲞᲣᲠᲘᲐᲡ**

## ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲡᲨᲘ

რომელიც იმყოფება **მათას უმაღლესობის ᲒᲠᲘᲜᲒ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲡᲫᲠᲔ ᲛᲔᲓᲚᲘᲡᲣᲠᲒᲘᲡᲗᲐᲡ** მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალითა ავადმყოფთათვის, შშობიარეთა განყოფილებით და ქირურგ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებს სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.







ფოს-კარმონები, სკრიპკები, კიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡ ᲐᲠᲐᲜᲓᲘᲡ ᲨᲔᲫᲚᲔᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲐ ᲤᲐᲡᲘᲡ ᲬᲐᲠᲬᲐᲠᲔ-ᲬᲐᲠᲬᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐᲕᲓᲘᲡ.

**ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ**

მუქად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საგრავებისა.

**Ბ. ᲛᲘᲠᲘᲛᲐᲜᲘᲐᲜᲘᲡᲐ.**

**МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО**

**Б. М. МИРИМАНІАНЪ**

Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—5—9)


## ტფილისის საათავად-აზნაურო სკოლისაკენ.

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის საათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოცი (40) ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილისათვის) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

40 ვაკანსიიდგან — 39 დანიშნულია გარეგან მოსიარულებისათვის და 1 საასაზოგადოების სრულ ხარჯზე.

საზოგადოების ნახევარ ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაისხნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე—უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, **მიღებული სინოდალურ კანტორისაგან**, ბ) სოჭარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყოველის აცრის და ჯანმთელობის მოწმობა.

ვისაც გარეგან მოსიარულეთ სურს შემოსვლა, იმისთვის საკიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, ან შემთხვევა მსურველთ ადგილი დადემობათ წლის ყრით, წლის ყრაში მონაწილოებას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საპირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიკერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილ წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლის თანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა,—იმათ 31 აგვისტოსთვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.

აგვისტოს 25—31 რიცხვებში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა. 1-ს სექტემბერს სწავლა დაიწყებადათხოვნილი იქნებიან აგრეთვე ის გარეგან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1904—1905 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს. ყველა პანსიონერის შშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდებნი ტფილისში მცხოვრებ-თავანნი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა, როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევებიაც

(17—5—14)


გამოვიდა მეექვსე გამოცემა წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნების

## კატალოგისა,

რომელიც მსურველს შეუძლიან მიიღოს უფასოდ მაღაზიიდგან.

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲐᲒᲐᲠᲐᲯᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ

## ᲖᲔᲓ ᲡᲣᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲚᲐᲓ

მაღლობს და ტეით შემოსილ მთებ შორის, სხვა და სხვა ხოტისა,

## ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ᲘᲐᲤᲐᲓ და ᲡᲚᲔᲚ-ᲛᲘᲡᲐᲬᲧᲘᲓᲘᲗ ᲤᲐᲡᲐᲓ.

იკითხეთ „ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ რედაქციის კანტორაში. (10—10)

ქალაქი იურევი, ლიფლიანდიის გუბერნიაში.

**ᲒᲔᲠᲛᲐᲜ ᲡᲐᲕᲐᲭᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ I ᲠᲘᲒ. ᲒᲣᲒᲝᲜ ᲢᲠᲔᲛᲬᲔᲠᲘᲡᲐ**

მოსამზადებელის კლასითა და **ᲞᲐᲜᲡᲘᲝᲜᲘᲗ.**

ამზადებენ შეგირდებს სხვა სასწავლებლებში შესასვლელად, უმაღლეს სასწავლებლებში ეგზამენების დასაჭერად და სამხედრო სამსახურისათვის. შეგირდები მიიღებიან ყოველ დროს, სწავლების ლის პირველსაცა და მეორე ნახევარსაც. წლოვანება არ აბრკოლებს შეგირდის მიღებას. ფასი სწავლისა და შენახვისათვის 110 მ. ნახევარს წელიწადში. ძმებისათვის ფასი ნაკლები. დაიწყება სწავლა 16 მარიამობისთვეს 1904 წ. არწის შემოტანა შეიძლება ყოველ დროს. უფრო დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება პირადად და წერილობით მიიღოს მსურველმა ქ. იურიევში (ლიფლ. გუბ.), საკუთარ სახლში, კონნაია ქუჩა, № 2.











ტფილ. გამოფენა.

## ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ

ᲖᲔᲗᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ (ᲙᲠᲐᲡᲙᲘᲡᲐ)

**Ა. Ა. ᲗᲣᲗᲐᲔᲕᲘᲡᲐ**

ᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢ ᲐᲛ ᲗᲕᲘᲡ ᲘᲐᲒᲚᲘᲡᲐᲓᲐᲛ ᲨᲔᲛᲝᲙᲕᲔᲗᲘᲗ ᲒᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲐᲢᲐᲙᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ (ᲓᲚᲐ ᲠᲝᲚᲔᲑ) ᲧᲕᲔᲚᲐ ᲮᲐᲠᲘᲡ ᲤᲔᲠᲘᲡ ᲖᲔᲗᲘᲐᲜᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ (ᲙᲠᲐᲡᲙᲘ). ᲒᲛᲠᲔᲓᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲩᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲪᲝᲜᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲘᲡ ᲫᲚᲘᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ *), ᲛᲝᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲪ ᲒᲣᲥᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ; ᲕᲘᲜᲪ ᲛᲝᲐᲡᲣᲤᲠᲔᲑᲡ, ᲮᲔᲚᲘᲡᲬᲘᲤᲔᲑᲡᲐᲪ ᲙᲣᲗᲮᲝᲕᲡᲐᲜᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲢᲔᲠᲞᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲘᲡᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲚᲐᲜᲘᲡ. ᲛᲔ ᲗᲘᲗᲝᲜᲐᲓ ᲓᲐᲕᲣᲤᲠᲔᲓᲐᲛ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲐᲠᲘᲡ, ᲗᲣ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲕᲔᲓᲔᲑᲘ ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ ᲛᲔᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘᲡ, ᲙᲐᲚᲐᲛᲘᲡᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲓᲐᲠᲝ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲣᲛᲐᲗ ᲞᲠᲘᲖᲘᲡᲣᲠᲢᲘᲡ ᲤᲘᲚᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ